

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №52

2018 წლის 24 აგვისტო

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61- ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24 -ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №55 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.122.016437, 29/12/2017) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გრიგოლ ივანეიშვილი

დანართი №1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14 353,4	4 254,3	10 099,1	16 176,2	2 789,0	13 387,2	15 538,5	4 355,5	11 183,0
გადასახადები	2 625,0	0,0	2 625,0	3 309,2	0,0	3 309,2	3 200,0	0,0	3 200,0
გრანტები	10 050,3	4 254,3	5 796,0	8 441,4	2 789,0	5 652,4	9 861,7	4 355,5	5 506,2
სხვა შემოსავლები	1 678,1	0,0	1 678,1	4 425,6	0,0	4 425,6	2 476,8	0,0	2 476,8
ხარჯები	10 600,4	1 236,4	9 364,0	8 602,8	244,6	8 358,2	10 165,3	220,7	9 944,6
შრომის ანაზღაურება	2 236,4	80,2	2 156,3	1 960,0	71,6	1 888,4	2 181,8	70,8	2 111,0



საქონელი და მომსახურება	1 034,4	14,5	1 019,9	1 015,2	19,8	995,5	1 348,9	30,3	1 318,6
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	52,9	0,0	52,9
სუბსიდიები	4 324,8	67,0	4 257,8	4 143,7	68,0	4 075,7	5 170,9	68,0	5 102,9
გრანტები	270,3	0,0	270,3	1,1	0,0	1,1	12,2	0,0	12,2
სოციალური უზრუნველყოფა	1 183,8	2,5	1 181,3	899,4	5,1	894,3	965,6	3,7	961,9
სხვა ხარჯები	1 550,5	1 072,3	478,3	583,3	80,2	503,2	433,0	47,9	385,1
საოპერაციო სალდო	3 753,0	3 017,9	735,1	7 573,4	2 544,4	5 029,0	5 373,3	4 134,8	1 238,4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2 899,4	2 787,3	112,2	5 807,3	2 864,4	2 942,8	9 014,0	4 905,9	4 108,2
ზრდა	3 783,9	2 787,3	996,7	5 884,4	2 864,4	3 020,0	9 274,0	4 905,9	4 368,2
კლება	884,5	0,0	884,5	77,1	0,0	77,1	260,0	0,0	260,0
მთლიანი სალდო	853,6	230,7	623,0	1 766,1	-320,1	2 086,1	-3 640,8	-771,0	-2 869,7
ფინანსური აქტივების ცვლილება	849,3	230,7	618,7	1 726,7	-342,5	2 069,3	-3 640,8	-771,0	-2 869,7
ზრდა	849,3	230,7	618,7	2 069,3	0,0	2 069,3	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	849,2	230,7	618,6	2 069,3		2 069,3	0,0	0,0	
კლება	0,0	0,0	0,0	342,5	342,5	0,0	3 640,8	771,0	2 869,7
სხვა დებიტორული დაგვლიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	3 640,8	771,0	2 869,7
ვალდებულებების ცვლილება	-4,3	0,0	-4,3	-39,4	-22,5	-16,9	0,0	0,0	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	4,3	0,0	4,3	39,4	22,5	16,9	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	4,3	0,0	4,3	39,4	22,5	16,9	0,0	0,0	0,0
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება



თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15 237,9	4 254,3	10 983,6	16 253,3	2 789,0	13 464,3	19 439,3	5 126,6	14 312,7
შემოსავლები	14 353,4	4 254,3	10 099,1	16 176,2	2 789,0	13 387,2	15 538,5	4 355,5	11 183,0
არაფინანსური აქტივების კლება	884,5	0,0	884,5	77,1	0,0	77,1	260,0	0,0	260,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	3 640,8	771,0	2 869,7
გადასახდელები	14388,5	4023,7	10364,9	14526,6	3131,5	11395,0	19439,3	5126,6	14312,7
ხარჯები	10600,4	1236,4	9364,0	8602,8	244,6	8358,2	10165,3	220,7	9944,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	3783,9	2787,3	996,7	5884,4	2864,4	3020,0	9274,0	4905,9	4368,2
ვალდებულებების კლება	4,3	0,0	4,3	39,4	22,5	16,9	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	849,3	230,7	618,7	1 726,7	-342,5	2 069,3	0,0	0,0	0,0

მუხლი 3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 15 538,5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14 353,4	4 254,3	10 099,1	16 176,2	2 789,0	13 387,2	15 538,5	4 355,5	11 183,0
გადასახადები	2 625,0	0,0	2 625,0	3 309,2	0,0	3 309,2	3 200,0	0,0	3 200,0
გრანტები	10 050,3	4 254,3	5 796,0	8 441,4	2 789,0	5 652,4	9 861,7	4 355,5	5 506,2
სხვა შემოსავლები	1 678,1	0,0	1 678,1	4 425,6	0,0	4 425,6	2 476,8	0,0	2 476,8

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 3200.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	კოდი	2016 წლის ფაქტი		2017 წლის ფაქტი		2018 წლის ბიუჯეტის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



გადასახადები	11	2 625,0	0,0	2 625,0	3 309,2	0,0	3 309,2	3 200,0	0,0	3 200,0
საშემოსავლო გადასახადი		883,8		883,8	839,7		839,7	800,0		800,0
ქონების გადასახადი	113	1 741,2	0,0	1 741,2	2 469,5	0,0	2 469,5	2 400,0	0,0	2 400,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	1 144,7		1 144,7	1 854,6		1 854,6	1 900,0		1 900,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	7,3		7,3	-4,1		-4,1	0,0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	11,0	0,0	11,0	16,0	0,0	16,0	12,0	0,0	12,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0,1		0,1	3,0		3,0	1,0		1,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	10,9		10,9	13,0		13,0	11,0		11,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	200,2	0,0	200,2	189,0	0,0	189,0	200,0	0,0	200,0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	146,4		146,4	137,7		137,7	150,0		150,0
იურიდიულ პირებიდან	1131142	53,7		53,7	51,4		51,4	50,0		50,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	378,0	0,0	378,0	413,9	0,0	413,9	288,0	0,0	288,0
ფიზიკურ პირებიდან	1131151	25,0		25,0	44,6		44,6	25,0		25,0
იურიდიულ პირებიდან	1131152	353,0		353,0	369,3		369,3	263,0		263,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 9 861.7 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	კოდი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	10 050,3	4 254,3	5 796,0	8 441,4	2 789,0	5 652,4	9 861,7	4 355,5	5 506,2
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	0,0			0,0			1,2		1,2
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	10 050,3	4 254,3	5 796,0	8 441,4	2 789,0	5 652,4	9 860,5	4 355,5	5 505,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	5 966,0	170,0	5 796,0	5 822,4	170,0	5 652,4	5 675,0	170,0	5 505,0
გათანაბრებითი ტრანსფერი		5 796,0		5 796,0	5 652,4		5 652,4	5 505,0		5 505,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		170,0	170,0		170,0	170,0		170,0	170,0	



ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	4 084,3	4 084,3	0,0	2 619,0	2 619,0	0,0	4 185,5	4 185,5	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		2 893,0	2 893,0		2 619,0	2 619,0		4 185,5	4 185,5	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		1 191,3	1 191,3		0,0			0,0		

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 476.8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
			საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	1 678,1	0,0	1 678,1	4 425,6	0,0	4 425,6	2 476,8	0,0	2 476,8
შემოსავლები საკუთრებიდან	141	307,4	0,0	307,4	650,9	0,0	650,9	394,0	0,0	394,0
პროცენტები	1411	99,1		99,1	269,9		269,9	245,0		245,0
რენტა	1415	208,3	0,0	208,3	381,0	0,0	381,0	149,0	0,0	149,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	189,2		189,2	329,6		329,6	148,0		148,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	19,1		19,1	51,3		51,3	1,0		1,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	849,0	0,0	849,0	3 466,5	0,0	3 466,5	1 777,7	0,0	1 777,7
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	800,9	0,0	800,9	3 401,7	0,0	3 401,7	1 707,7	0,0	1 707,7
სანებართვო მოსაკრებელი	14223	49,5		49,5	62,8		62,8	60,0		60,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	604,6		604,6	3 190,0		3 190,0	1 517,7		1 517,7
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	146,8		146,8	148,9		148,9	130,0		130,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	48,1	0,0	48,1	64,9	0,0	64,9	70,0	0,0	70,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	48,1		48,1	64,9		64,9	70,0		70,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	340,0		340,0	274,7		274,7	300,0		300,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	0,0			0,0			5,1		5,1
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	181,7		181,7	33,5		33,5	0,0		



მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 10 165.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	10 600,4	1 236,4	9 364,0	8 602,8	244,6	8 358,2	10 165,3	220,7	9 944,6
შრომის ანაზღაურება	2 236,4	80,2	2 156,3	1 960,0	71,6	1 888,4	2 181,8	70,8	2 111,0
საქონელი და მომსახურება	1 034,4	14,5	1 019,9	1 015,2	19,8	995,5	1 348,9	30,3	1 318,6
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	52,9	0,0	52,9
სუბსიდიები	4 324,8	67,0	4 257,8	4 143,7	68,0	4 075,7	5 170,9	68,0	5 102,9
გრანტები	270,3	0,0	270,3	1,1	0,0	1,1	12,2	0,0	12,2
სოციალური უზრუნველყოფა	1 183,8	2,5	1 181,3	899,4	5,1	894,3	965,6	3,7	961,9
სხვა ხარჯები	1 550,5	1 072,3	478,3	583,3	80,2	503,2	433,0	47,9	385,1

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9014.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9274.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	259,4	66,1	99,7
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	1,1	2,5
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3 453,9	5 090,7	8 107,7
04 00	განათლება	11,4	551,4	280,5
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	49,0	149,9	779,4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	10,2	25,2	4,2
	სულ	3 783,9	5 884,4	9 274,0

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 260.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	884,5	77,1	260,0



პირითადი აქტივები	648	32,7	180,0
არაწარმოებული აქტივები	236,5	44,4	80,0
მიწა	236,5	44,4	80,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 054,1	0,0	3 054,1	2 575,6	0,0	2 575,6	3 120,3	0,0	3 120,3
7011	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3 054,1	0,0	3 054,1	2 575,6	0,0	2 575,6	3 120,3	0,0	3 120,3
70111	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 054,1	0,0	3 054,1	2 575,6	0,0	2 575,6	3 081,6	0,0	3 081,6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	38,6	0,0	38,6
702	თავდაცვა	94,7	94,4	0,3	99,6	92,8	6,8	108,9	104,3	4,6
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 325,6	1 693,5	632,0	4 810,3	2 737,1	2 073,2	8 169,3	4 897,9	3 271,4
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	0,0	0,0	19,9	0,0	19,9	119,7	0,0	119,7
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0	19,9	0,0	19,9	119,7	0,0	119,7
7045	ტრანსპორტი	2 243,9	1 693,5	550,3	4 428,0	2 737,1	1 690,9	7 211,1	4 897,9	2 313,1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 243,9	1 693,5	550,3	4 428,0	2 737,1	1 690,9	7 211,1	4 897,9	2 313,1
7048	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70481	გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	81,7	0,0	81,7	362,3	0,0	362,3	838,6	0,0	838,6
705	გარემოს დაცვა	576,9	0,0	576,9	617,2	0,0	617,2	783,3	0,0	783,3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	568,7	0,0	568,7	603,2	0,0	603,2	768,3	0,0	768,3
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	8,2	0,0	8,2	13,9	0,0	13,9	15,0	0,0	15,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3 580,0	2 164,1	1 415,9	1 695,9	206,2	1 489,7	2 240,9	53,3	2 187,5
7061	ბინათმშენებლობა	1 273,8	904,8	369,0	350,1	0,0	350,1	541,6	18,5	523,1
7063	წყალმომარაგება	203,2	176,5	26,7	214,0	115,2	98,8	178,6	0,0	178,6
7064	გარე განათება	310,0	0,0	310,0	367,6	0,0	367,6	373,6	0,0	373,6
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 793,0	1 082,8	710,2	764,2	91,0	673,2	1 147,0	34,8	1 112,2
707	ჯანმრთელობის დაცვა	74,5	68,9	5,6	68,0	68,0	0,0	68,7	68,0	0,7
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	74,5	68,9	5,6	68,0	68,0	0,0	68,7	68,0	0,7
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 875,4	0,0	1 875,4	1 463,4	0,0	1 463,4	1 593,1	0,0	1 593,1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	684,3	0,0	684,3	373,0	0,0	373,0	372,3	0,0	372,3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 022,7	0,0	1 022,7	914,9	0,0	914,9	972,3	0,0	972,3
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	100,0	0,0	100,0	89,4	0,0	89,4	100,0	0,0	100,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	68,4	0,0	68,4	86,1	0,0	86,1	148,6	0,0	148,6
709	განათლება	1 350,6	0,0	1 350,6	1 990,1	0,0	1 990,1	2 118,8	0,0	2 118,8
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 350,6	0,0	1 350,6	1 990,1	0,0	1 990,1	2 118,8	0,0	2 118,8
710	სოციალური დაცვა	1 452,6	2,8	1 449,8	1 167,2	5,0	1 162,2	1 236,1	3,0	1 233,1
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	82,4	0,0	82,4	88,2	0,0	88,2	80,0	0,0	80,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	1 199,0	2,8	1 196,2	886,9	5,0	881,9	1 003,1	3,0	1 000,1
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	171,2	0,0	171,2	192,2	0,0	192,2	153,0	0,0	153,0
	სულ	14 384,3	4 023,7	10 360,6	14 487,2	3 109,1	11 378,2	19 439,3	5 126,6	14 312,7



მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 3 640.8 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 3 640.8 ათასი ლარის ოდენობით.

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა - 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება - 3 640.8 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილების კლება - 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილების კლება - 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 38.6 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 170.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 68.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 99.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2018 – 2021 წლებისათვის, პროგრამები და



ქვეპროგრამები

1. თავდაცვა და საგანგებო სიტუაციების მართვა - 108.9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

1.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა- 108.9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვა, წვევამდელთა შეკრება და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 10 419.9 ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენება, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელ უბნებში ეზოების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა- 7184.1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, რისთვისაც პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა, ასევე განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.

პროგრამის ფარგლებში მოხდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საავტომობილო გზებისა და ტროტუარების მოწყობის საგარანტიო თანხები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ გვიშტიბში სიჩქარის შემანელებელი ბარიერებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დანაგვიანების ამკრძალავი საგზაო ნიშნების მოწყობა.

პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოში ჭავჭავაძის მე-3 ჩიხში 500 მეტრი და ყაზბეგის ქუჩაზე სასაფლაოსთან მისასვლელი გზის, ქალაქ წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე #16 და #17 ბინებთან მისასვლელი გზის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანებში წმ. მატრონას სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი 1200 მ² გზისა და ქალაქ წყალტუბოში აღმაშენებლისა და სამაკაშვილის ქუჩების შემაერთებელი 400 მ² გზის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში (საქუსლიას უბანი გზის დასრულება), ასევე მე-40 და 38-ე ქუჩებზე გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. საყულიაში, ქ. წყალტუბოში მესხის, დედა ენის ქ. მე-4 შესახვევში, ნინოშვილის ქ. 1 შესახვევში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების ქვიტირისა და მუხიანის შემაერთებელი გზის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალის პირველ და მეორე ჩიხებში გზების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში კობახიძის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე (წმ.გიორგის ეკლესიამდე), ქალაქ წყალტუბოში კოლხეთის ქუჩაზე №6 და №10 მრავალბინიან სახლებთან მისასვლელი გზების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუბისწყალში (გორიკის უბანი), წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფარცხანაყანევის ადმინისტრაციული ერთეულის კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში მისასვლელი გზის, სოფელ თერნალში გელენიძეების, სვანების და უგლავეების უბნებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში აღმაშენებლის ქუჩიდან სასაფლაომდე გზის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში (ახალი დასახლების და



კაპანაძეების უბნებში) გზის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების ოფშკვითისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ყუმისთავში, ქ. წყალტუბოს ქუჩების - ბესიკის ქუჩიდან გურამიშვილის ქუჩამდე, კეცხოველის ქუჩაზე, რუსთაველის ქუჩა 35-ში მუსიკალურ სკოლასთან, დუმბაძის ქუჩაზე და ლერმონტოვის ქუჩაზე და სოფელ წყალტუბოში იმერეთის ქუჩაზე გზების ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაცია. სოფელ პირველ წყალტუბოში მე-9 და მე-11 ქუჩების, საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ასფალტ / ბეტონის საფარით. ასევე მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნამოხვანში (საკირეს უბანი), ქვილიშორში და გუმბრაში მზა ბეტონის შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფ. ცხუნკურში საფეხმავლო ხიდის შეკეთება და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზარათში მამაწმინდის უბანში საავტომობილო - საფეხმავლო ხიდის მოწყობა.

პროგრამის ფარგლებში მოეწყობა ზოგადი ხედვის კამერების განთავსების ადგილებზე გამაფრთხილებელი აზრები.

პროგრამის ფარგლებში მოხდება ქ. წყალტუბოში აკ. შანიძისა და გ. ტაბიძის ქუჩების დამაკავშირებელი კიბის რეაბილიტაცია და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების რეაბილიტაციისათვის მზა ბეტონის შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში ჟორჟოლიანების უბანში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში რეხის ტყის უბანში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში დუქნისწყაროს უბანში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხეთში აბაზაძეების უბანში, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩაზე №1-3-9-11-12-13-15-18 საცხოვრებელ კორპუსებთან მისასვლელ გზებზე, ქალაქ წყალტუბოში გურამიშვილის ქუჩაზე №2, ბესიკის ქუჩაზე №8 საცხოვრებელ კორპუსებთან მისასვლელ გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა, ხოლო დედა ენის ქუჩაზე №1 საცხოვრებელ კორპუსთან ასფალტის საფარი. გ.ტაბიძის ქუჩაზე საფეხმავლოს (ველობილიკი) მოწყობა.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა - 1996.9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, მაწანწალა ცხოველების იზოლირება, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია - ექსპლოატაცია და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება. დაფინანსდება არსებული გარე განათების ქსელის შედეგად მოხმარებული ელ. ენერგიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში მდებარე შადრევნების წყლის ხარჯის ანაზღაურება.

2.2.1. სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 119.7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის ადმინისტრაციულ ერთეულში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთათვის სანიაღვრე არხისა და ცხაურების მოწყობა. ასევე მოხდება ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის პირველ ჩიხში მდებარე №1 ბინის გასწვრივ სანიაღვრე არხისა და სარინელის მოწყობა.

პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში დევნილთა გრძელვადიანი განახლების ობიექტის მიმდებარედ წყალგამტარი არხის მოწყობა.

ასევე განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწისქვეშა წყალგამტარი კოლექტორის აღდგენითი სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, ვარციხეჰესის დასახლებაში ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადრენაჟე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.



2.2.2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიებები - 768.3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა. დაფინანსდება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები.

2.2.3. შენობების რეაბილიტაცია - კეთილმოწყობა - 541.6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, გამნათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა, პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საგარანტიო თანხები, შემდეგ პროექტებზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში, ფარცხანაყანებში, ქვიტირსა და რიონში საბავშვო ბაღის მშენებლობა. ასევე სოფელ ჩუნეშში ნ. ლორთქიფანიძის სახლმუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოები. ქალაქ წყალტუბოში #1 ბაგა ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების ცენტრის ჩამოყალიბების მიზნით ოფისის შეკეთება, კეთილმოწყობა, ინვენტარისა და ტექნიკის შეძენა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ თერნალში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკონცერტო დარბაზ „ივერიის“ ელ.ენერგიის სიმძლავრის გაზრდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ წყალტუბოში ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები. ხოლო სოფელ ზედა მესხეთში №9, სოფელ გეგუთში №10 საბავშვო ბაღების სახურავის რეაბილიტაცია, ქალაქ წყალტუბოში №1 საბავშვო ბაღი შემორაგვა.

2.2.4. წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 178.6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში მდებარე შადრევნების წყლის ხარჯი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის ადმინისტრაციულ ერთეულში სადგურ ბროჩეულას დასახლებაში წყალ-საკანალიზაციო საქარ სადგურში ელექტროძრავის შეკეთების მომსახურების დაფინანსება.

ქვეპროგრამების ფარგლებში მოხდება სოფელ ბანოჯაში არსებული 50 ტონიანი სასმელი წყლის რეზერვუარის სათავო-ნაგებობის მოწესრიგება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში 22 ოჯახისათვის სასმელი წყლის ტუმბოს შეძენა - მოწყობა და ელ. გამანაწილებელ ქსელზე დაერთება და აღრიცხვის კვანძის მოწყობა, სოფელ გეგუთში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის შეკეთება და ტერიტორიის შემორაგვა, ქალაქ წყალტუბოში ბაზრის მიმდებარედ ავალიანის ქუჩის მონაკვეთზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა. ასევე მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში სვანებისა და უგლავების უბანში, სოფელ ხომულში მე-14 ქუჩაზე და სოფელ წყალტუბოში ლორთქიფანიძის ქუჩაზე სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გვიშტიბის ადმინისტრაციულ ერთეულის შენობის წყალმომარაგების ქსელზე დაერთება და აღრიცხვის კვანძის მოწყობა.



2.2.5. გარე განათება - 373.6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ქსელის შედეგად მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულება.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოში გორგასლის ქუჩაზე და ტაბიძის I შესახვევში გარე განათების სისტემის მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქუთაისი-წყალტუბოს საავტომობილო გზის მიმდებარედ არსებული გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია და სიმძლავრის გაზრდა.

2.2.6. მაწანწალა ძაღლების იზოლირება - 15.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მაწანწალა ცხოველების იზოლირება, რითიც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 903.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ დაფინანსება.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ პატრიკეთსა და ტყაჩირში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.

2.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 29.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

2.5. საპროექტო დოკუმენტაცია და საექსპერტო მომსახურება - 104.1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ასევე პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური პარკის განვითარების კონცეფციის შექმნა და აზრის კონკურსის გამარჯვებულის დაფინანსება.

2.6. საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება- 202.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება.

3. განათლება - 2118.8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3.1. საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსება - 2118.8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. ამისათვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო



ბაღების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს.

პროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ გვიშტიბისა და კოპიტნარის დასახლების საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაციის დაფინანსება.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები- 2366.6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა- 1089.8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ „წყალტუბოს სპორტული კლუბების გაერთიანების“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. ასევე მოახდინონ ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასევე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: წარმატებული სპორტსმენებისათვის ჯილდო, გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში, სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა 2018, ტრანსპორტირება, ჯემალ ბერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში, სპორტული სასკოლო ოლიმპიადა, საკალათბურთო კლუბი წყალტუბო სპორტული ინვენტარის შესყიდვა, შალვა ბზიკაძის ხსოვნის ტურნირი ბიუდოში (საერთაშორისო), მკლავჭიდი, გარბენი ქალაქის რკალზე, ნოდარ კოხრეიძის ხსოვნის ტურნირი, სამოყვარულო ტურნირი ნარდში, დავით აფხაძის ხსოვნის ტურნირი ბ/რომაულ ჭიდაობაში, ზურაბ ბადირეიშვილი ხსოვნის ტურნირი კალათბურთში, სულიკო ნიქაბაძის სახელობის ფეხბურთის ტურნირი, ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფეხბურთის ტურნირი, როინ მეტრეველის ხსოვნის ტურნირი ხელბურთში (საერთაშორისო).

პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური საფეხბურთო შემოღობვის, 3 კაბინიანი საპირფარეოს და მაყურებელთა დასაჯდომი სკამების მოწყობა.

